

სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა შემდეგ საქმიანობაზე:

- ა) სიცოცხლის დაზღვევა;
- ბ) დაზღვევა - არასიცოცხლე;
- გ) გადაზღვევა

მინიმალური კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება:

- ა) სიცოცხლის დაზღვევა – 2 200 000 ლარი;
- ბ) დაზღვევა (არასიცოცხლე) – 2 000 000 ლარი;
- გ) გადაზღვევა – 2 200 000 ლარი

სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად ლიცენზიის (ლიცენზიების) მისაღებად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი:

ა) წერილობითი განცხადება სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მოთხოვნის შესახებ;  
განცხადება იწერება სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის სახელზე და უნდა შეიცავდეს:

- განმცხადებლის ვინაობას და მისამართს;
- მოთხოვნას ლიცენზიის აღების შესახებ კონკრეტული სადაზღვევო საქმიანობის მითითებით;
- განცხადების თარიღის და განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის ნუსხას.

ბ) დაინტერესებული (განცხადების წარმომდგენი) პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) სადამფუძნებლო დოკუმენტები, მათ შორის წესდება;

გ) სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;

დ) ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ გაცემული ფასიანი ქაღალდების რეესტრიდან ამონაწერი აქციონერთა აქციების განაწილების შესახებ;

ე) საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი/დოკუმენტები სამსახურის მიერ განსაზღვრული მინიმალური კაპიტალის დამფუძნებლების მიერ ფულადი ფორმით სრულად შევსების შესახებ;

ვ) საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი/დოკუმენტები სამსახურის მიერ განსაზღვრული მინიმალური ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშზე/ანგარიშებზე განთავსების შესახებ;

ზ) მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია. მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ბენეფიციარი მესაკუთრის არარსებობის შემთხვევაში აუცილებელია ლიცენზიის მამიებელმა აღნიშნული ფაქტი წერილობით დაადასტუროს;

თ) ყველა ადმინისტრატორის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია;

ი) შესაბამისი წესით დამოწმებული დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია (მათ შორის, ავტობიოგრაფია) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერებისა და ყველა ადმინისტრატორის „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 22' მუხლით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;

კ) ინფორმაცია კაპიტალის წარმოშობის შესახებ;

ლ) სადაზღვევო საქმიანობის დაწყებიდან მომდევნო 3 წლის ბიზნესგეგმა (გადაზღვევის პროგრამის ჩათვლით) სამსახურის მიერ დამტკიცებული ბიზნესგეგმის ძირითადი მონაცემებისა და ფორმის შესაბამისად; (ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)

მ) ინფორმაცია მზღვეველის სათავო ოფისის ადგილსამყოფლის შესახებ, ხოლო ფილიალის/ფილიალების არსებობის შემთხვევაში - აგრეთვე მათი ადგილსამყოფლის შესახებ;

ნ) იმ უძრავი ქონების საკუთრების ან სხვაგვარად კანონიერად ფლობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც განთავსდება მზღვეველის სათავო ოფისი/ფილიალი;

ო) ინფორმაცია ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ, სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი ფუნქციების მითითებით;

პ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

*\* დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (დედნების) ან შესაბამისი წესით, ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.*

*\*\* საქმიანობის თითოეული მიმართულებისათვის სალიცენზიო მოსაკრებელი განისაზღვრება 500.00 ლარით*